ხაშურის მოამბე

№42 (73) 1 ნოემბერი, სამშაბათი, 2016 წელი

სიმონ ნოზაძე ხაშურის მუნიციპალიტეტის მაჟორიტარი დეპუტატია

30 ოქტომბერს, ისევე, როგორც საქართველოს ბევრ რეგიონში, ხაშურის მუნიციპალიტეტშიც საპარლამენტო არჩევნების მეორე ტური გაიმართა, რომელსაც მუნიციპალიტეტის მაჟორიტარი დეპუტატი უნდა გამოევლინა. პირველი ტურის შემდეგ ორი კანდიდატი იბრძოდა გამარჯვებისთვის – პარტია „თოფაძე-მრეწველები, ჩვენი სამშობლო“-ს წარმომადგენელი სიმონ ნოზაძე და პარტია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“-დან ვალერი გელაშვილი. პირველი ტურის შემდეგ სიმონ ნოზაძე ხმების საკმაო რაოდენობით ლიდერობდა – 7310 ხმა (31,96%) 4600 ხმის (20,11%) წინააღმდეგ. არჩევნების მეორე ტურში საარჩევნო ყუთებთან 20514 ამომრჩეველი მივიდა, რაც საერთო რაოდენობის 41,03 პროცენტია. ორ კანდიდატს შორის კი ხმები ასე გადანაწილდა: სიმონ ნოზაძე – 12405 ხმა (61,55%), ვალერი გელაშვილი – (7748 ხმა (38,45%). აქვე გვინდა ჩვენს მკითხველს დავუზუსტოთ, რომ ეს გახლავთ წინასწარი მონაცემები და შესაძლოა მასში უმნიშვნელო ცვლილებები მოხდეს.

ამრიგად, ხაშურის მუნიციპალიტეტს საქართველოს პარლამენტში ახალი წარმომადგენელი ეყოლება – სიმონ ნოზაძე.

გაზეთის მკითხველის სახელით ვულოცავთ ბატონ სიმონს ამ გამარჯვებას. გვჯერა, მისი სახით ხაშურს ღირსეული წარმომადგენელი ეყოლება საქართველოს პარლამენტში.

ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგებლის გიორგი გურასპაშვილის ერთწლიანი მუშაობის ანგარიში

28 ოქტომბერს, ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგებელმა გიორგი გურასპაშვილმა ერთი წლის საქმიანობის ანგარიში წარადგინა.

მოსახლეობამ იცის, რომ მსგავსი პრაქტიკა ხელისუფლებაში „ქართული ოცნების“ მოსვლის შემდეგ დაინერგა, რაც, რა თქმა უნდა, მისასალმებელი ფაქტია და დემოკრატიის ნათელი დადასტურებაა.

მუნიციპალიტეტის გამგებელმა მოკლედ მიმოიხილა ის ინფრასტრუქტურული, სოციალური, კულტურული და სხვა პროექტები და ღონისძიებები, რაც ხაშურის მუნიციპალიტეტში მისი ხელმძღვანელობით განხორციელდა.

გამგებელმა მადლობა გადაუხადა მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარესა და წევრებს, გამგეობის, მუნიციპალური ა(ა)იპ-ების თანამშრომლებს წლის განმავლობაში გაწეული საქმიანობისთვის.

შეხვედრაზე განსაკუთრებით აღინიშნა უწყებათაშორისი თანამშრომლობის როლი და რეგიონული და ცენტრალური ხელისუფლების თანადგომის მნიშვნელობა იმ თითოეული პროექტის განხორციელების საქმეში, რაც საანგარიშო პერიოდში ხაშურის მუნიციპალიტეტში შესრულდა.

შეხვედრის ბოლოს გამგებელმა სამომავლო გეგმები მიმოიხილა და მოქალაქეთა შეკითხვებს უპასუხა.

ქვემოთ გთავაზობთ ბატონი გიორგის ანგარიშის სრულ ვერსიას.

***

პატივცემულო მეგობრებო, მოგესალმებით და მადლობას გიხდით მობრძანებისთვის.

გასული წლის ოქტომბრის თვეში ხაშურის მუნიციპალიტეტის მოსახლეობას უკვე წარვუდგინეთ ანგარიში ჩვენს მიერ ხელისუფლებაში მოსვლის დღიდან გაწეული საქმიანობის შესახებ. ამჯერად წარმოგიდგენთ ანგარიშს ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ 2016 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ.

ხაშურის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის მოცულობა განისაზღვრა 10 205 700 ლარის ოდენობით.

მიმდინარე წლის განმავლობაში დამტკიცებულ ბიუჯეტში განხორციელებული ცვლილებების შედეგად 2016 წლის ბიუჯეტის მოცულობა განისაზღვრა 19 419 400 ლარის ოდენობით.

2016 წლის ბიუჯეტით განსახორციელებელი ღონისძიებების დაფინანსების ძირითად წყაროს წარმოადგენს საკუთარი შემოსულობები, მათ შორის: საშემოსავლო გადასახადი, საწარმოთა ქონების გადასახადი, სასოფლო და არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადი, ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის მოსაკრებელი, სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი, მშენებლობის ნებართვის მოსაკრებელი, დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებელი, არაფინანსური აქტივების გაყიდვიდან (პრივატიზაციიდან) მიღებული შემოსავლები და გათანაბრებითი ტრანსფერი. ბიუჯეტში გათანაბრებითი ტრანსფერის სახით გათვალისწინებულია 4 986 700 ლარი, ასევე გათვალისწინებულია მიზნობრივი დანიშნულების ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად 229 000 ლარის ოდენობით.

ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად 2016 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებულია აგრეთვე საქართველოს მთავრობის განკარგულებით გამოყოფილი ტრანსფერები.

საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პოექტების ფონდიდან. საქართველოს მთავრობის 2016 წლის 4 თებერვლის №175 განკარგულების საფუძველზე, მუნიციპალიტეტს გამოეყო 3 126 705 ლარი, ხოლო სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებებისათვის საქართველოს მთავრობის 2016 წლის 19 თებერვლის №265 განკარგულების საფუძველზე გამოეყო 856 827 ლარი, მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდიდან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 1 ივლისის №1251 განკარგულებით ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ პატარა ფლევის ჭაბურღილის წყალმომარაგების ქსელის მოსაწყობად გამოეყო 247 892 ლარი.

ხაშურის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტით განსაზღვრულმა ფინანსურმა რესურსებმა მუნიციპალიტეტს მისცა ბიუჯეტის გადასახდელების გეგმით გათვალისწინებული ყველა ინფრასტრუქტურული პროექტისა და პროგრამის დაფინანსების საშუალება და, შესაბამისად, ამ პროგრამების ძირითადი მიზნების შესრულების შესაძლებლობა.

2016 წლის იანვრიდან 2016 წლის ოქტომბრამდე სულ განხორციელებულია 9 128 020.52 ლარის ღირებულების 191 შესყიდვა, რომლებზეც გაფორმებულია შესაბამისი ხელშეკრულებები. აღნიშნული შესყიდვების ღირებულება. წინა წლებში განხორციელებულ შესყიდვებს ორჯერ აღემატება. (მაგ: 2014 წლის შესაბამის პერიოდში სულ განხორციელებულია 153 შესყიდვა, რამაც გაფორმებული ხელშეკრულებების მიხედვით შეადგინა 3 364 494.87 ლარი; 2015 წლის შესაბამის პერიოდში კი სულ განხორციელებულია 176 შესყიდვა. რამაც გაფორმებული ხელშეკრულებების მიხედვით შეადგინა 4 408 559.26

(გაგრძელება II გვერდზე)

ხაშურის მუნიციპალიტეტში საქართველოს პარლამენტის არჩევნების მეორე ტურის შედეგები ცალკეული უბნების მიხედვით (წინასწარი შედეგები)

უბანი \ სუბიექტი	19	41
43.35.01	257	137
43.35.02	313	178
43.35.03	317	185
43.35.04	254	186
43.35.05	303	104
43.35.06	366	197
43.35.07	235	218
43.35.08	152	186
43.35.09	255	189
43.35.10	230	132
43.35.11	281	234
43.35.12	218	89
43.35.13	234	242
43.35.14	209	162
43.35.15	176	177
43.35.16	236	195
43.35.17	165	275
43.35.18	276	166
43.35.19	252	167
43.35.20	273	181
43.35.21	240	166
43.35.22	112	124
43.35.23	417	58
43.35.24	127	30
43.35.25	278	68
43.35.26	292	245
43.35.27	129	74
43.35.28	366	200
43.35.29	172	223
43.35.30	441	53
43.35.31	214	30
43.35.32	279	193
43.35.33	232	176
43.35.34	304	188
43.35.35	241	148
43.35.36	184	206
43.35.37	188	35
43.35.38	132	53
43.35.39	91	167
43.35.40	20	20
43.35.41	27	34
43.35.42	343	187
43.35.43	402	180
43.35.44	232	83
43.35.45	310	166
43.35.46	235	162
43.35.47	192	235
43.35.48	368	137
43.35.49	233	168
43.35.50	260	145
43.35.51	188	54
43.35.52	154	140

ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგებლის გიორგი გურასპაშვილის ერთწლიანი მუშაობის ანგარიში

(გაგრძელება)

ლარი;) მათ შორის: გამარტივებული შესყიდვის საშუალებით გაფორმებულია - 95 ხელშეკრულება, გამარტივებული ელექტრონული ტენდერის საშუალებით - 58 ხელშეკრულება, ხოლო ელექტრონული ტენდერის საშუალებით - 38 ხელშეკრულება.

2016 წლის 1 იანვრიდან 2016 წლის 17 ოქტომბრამდე ხაშურის მუნიციპალიტეტის მიერ გამოცხადებული იქნა 168 ტენდერი, საიდანაც 102 დამთავრდა დადებითი შედეგით, ანუ გაფორმდა ხელშეკრულებები სახელმწიფო შესყიდვის შესახებ (8 972 497.34 ლარის ჯამური ღირებულებით), მათ შორის 41 ელექტრონული და 61 გამარტივებული ელექტრონული ტენდერი.

გამოცხადებული ტენდერებიდან არ შედგა 42 ტენდერი, მათ შორის 6 ელექტრონული და 36 გამარტივებული ელექტრონული ტენდერი. იმის გათვალისწინებით, რომ პრეტენდენტებმა ვერ წარმოადგინეს შესაბამისი ტექნიკური დოკუმენტაცია, 13 ტენდერი დასრულდა უარყოფითი შედეგით, ხოლო 1 ტენდერში პრეტენდენტს დისკვალიფიკაცია მიენიჭა არაკეთილსინდისიერი ქმედების გამო.

11 ტენდერი მიმდინარეობის სხვადასხვა ეტაპზეა.

გამოცხადებული ტენდერებიდან 1 არის მრავალწლიანი (ხელშეკრულების დასრულების ვადა განსაზღვრულია 2017 წლის მე-III კვარტლისათვის) ელექტრონული ტენდერი.

არასამთავრობო ორგანიზაცია „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ მიერ საანგარიშო პერიოდში გამოქვეყნებული კვლევის შედეგებით, არშემდგარი ტენდერების პროცენტული წილი ყველაზე დაბალია ხაშურის მუნიციპალიტეტში, რაც საუკეთესო მაჩვენებელია, ხოლო განხორციელებული შესყიდვებით მუნიციპალიტეტი ერთ-ერთ დადებით პოზიციაზეა.

როგორც გასულ წელს, მიმდინარე წელსაც პრიორიტეტად იქნა მიჩნეული ინფრასტრუქტურული პროექტები. შესაბამისად, მუნიციპალიტეტი აქტიურად არის ჩართული მათი განხორციელების საქმეში.

ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობას, 2016 წელს სოფლის მხარდაჭერის პროგრამის განხორციელების მიზნით, საქართველოს მთავრობამ გამოუყო 856 827 ლარი. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში. სოფლის მოსახლეობის გადაწყვეტილებით, მუნიციპალიტეტის 60 სოფელში 78 სხვადასხვა სახის ინფრასტრუქტურული პროექტი ხორციელდება. სამუშაოებში ათობით სამშენებლო ორგანიზაცია და ინდმეწარმეა ჩართული, გაფორმებულია შესაბამისი ხელშეკრულებები. მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა სამუშაოებზე ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმებას.

სამომავლოდ აღნიშნული პროგრამის წარმატება იმაზე იქნება დამოკიდებული, რამდენად შევძლებთ გასულ წლებში არსებული ხარვეზების გათვალისწინებას, მშენებლებთან ყოველდღიური საქმიანი ურთიერთობების დამყარებას. მუნიციპალიტეტი სისტემატურად აკონტროლებს სამუშაოების შესრულების მიმდინარეობას და ხარისხს, გამოვლენილ დარღვევებზე ახდენს ოპერატიულ რეაგირებას. ინფორმაციები პროგრამის შესრულების მიმდინარეობის თაობაზე ყოველკვირეულად იგზავნება საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსა და სამხარეო ადმინისტრაციაში. ვფიქრობთ, განსახორციელებელ პროექტებში მოსახლეობის ფართო ჩართულობა და მოტივაცია იმისა, რომ მომავალ წელს პროგრამა უფრო წარმატებული იყოს, მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს სოფლად ინფრასტრუქტურის განვითარებას.

საქართველოს მთავრობის 2016 წლის 4 თებერვლის №175 განკარგულებით, ხაშურის მუნიციპალიტეტს „რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან“ გამოეყო 3 723 323 ლარი (პროექტირების ჩათვლით) აღნიშნული თანხები გადანაწილდა შემდეგ პროექტებზე:

1. ქ. ხაშურში, თევდორე მღვდლის ქუჩაზე №6 საბავშვო ბაღის ნაწილის დემონტაჟი და ბაღის ახალი შენობა-ნაგებობის მშენებლობა, ღირებულებით 759 857ლარი;
2. დაბა სურამში, მდინარე ბიჯნისულაზე, ნაპირსამაგრი კედლების მოწყობა, ღირებულებით 252 938 ლარი;
3. დაბა სურამში 9 აპრილის ქუჩის ნაწილობრივი მოასფალტება და კეთილმოწყობა, ღირებულებით 489 000 ლარი;
4. ხაშურში, სპორტ-კომპლექსის მშენებლობა, ღირებულებით 2 213 157 ლარი. (გარდამავალი პროექტი) დასრულდება 2017წ;
5. ქ. ხაშურში ჯორჯაძისა და აგარის ქუჩების მონაკვეთების მოასფალტება, ღირებულებით 765 000 ლარი;6. სოფელ ფლევში სასმელი წყლის ჭაბურღილის მოწყობის სამუშაოები, ღირებულებით 184 998 ლარი;

ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრებით მიმდინარე წელს შესაძლებელი გახდა განხორციელებულიყო: ხაშურში, ხეთაგუროვის ქუჩაზე №3, 1 მაისის ქუჩაზე №5 და დაბა სურამში №9 საბავშვო ბაღების რეაბილიტაციის და ქვიშხეთის საბავშვო ბაღის მშენებლობის სამუშაოები. გასულ და მიმდინარე წელს, გაწეული მუშაობის შედეგად, შესაძლებელი გახდა ძირითადად გადაწყვეტილიყო საბავშვო ბაღების ინფრასტრუქტურის მოწესრიგების საკითხი.

კვლავ ყურადღების ცენტრშია მდინარეების ნაპირსამაგრი და კალაპოტის წმენდის სამუშაოები. უკვე დასრულდა ქალაქ ხაშურსა და დაბა სურამში ნაპირსამაგრი და ხიდების სარეაბილიტაციო და მდინარე სურამულას კალაპოტის წმენდის სამუშაოები. ქიმერიძეების უბანში მოეწყო ხიდი. მუნიციპალიტეტში სპორტული და კულტურული ცხოვრების ხელშეწყობის მიზნით გრძელდება სპორტული და კულტურული ინფრასტრუქტურის მოწესრიგება. სპორტული მოედნები მოეწყო ლესელიძის ქუჩაზე და

(გაგრძელება III გვერდზე)

ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგებლის გიორგი გურასპაშვილის ერთწლიანი მუშაობის ანგარიში

(გაგრძელება)

ო ნ ი

სურამში განხორციელდა სამუსიკო სკოლის რეაბილიტაციის სამუშაოები. პრიორიტეტულად რჩება სოფლებში წყლის პრობლემის გადაწყვეტის საკითხი. ამ მიზნით სოფელ ხცისსა და სოფელ ახალშენში მოეწყო წყლის ქსელი. ასევე გრძელდება კანალიზაციისა და წყალარინების სამუშაოები პრობლემურ ქუჩებზე. მიმდინარე წელს უკვე მოეწყო კანალიზაციის ქსელი აგარის ქუჩაზე და წყალარინების მოწყობის სამუშაოები ჩატარდა შოლის ქუჩაზე. დასრულდა დაბა სურამში გურამიშვილის ქუჩის მოასფალტების, ხაშურში ძნელაძის ქუჩაზე მიწისქვეშა გადასასვლელის რეაბილიტაციის და ქ. ხაშურში ყაზბეგის ქუჩის მონაკვეთის კეთილმოწყობის სამუშაოები.

ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხებით მიმდინარეობს ხაშურის კულტურის სახლის რეაბილიტაციის, რუსთაველის ქუჩაზე მდებარე ომში დაღუპულთა მემორიალის, ხაშურში ადმინისტრაციული შენობისა და მიმდებარე მოედნის, ა(ა)იპ საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის, სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის, სურამის სადაბო პოლიკლინიკის შენობების სარეაბილიტაციო სამუშაოები. ასევე მიმდინარეობს სოფელ ქვიშხეთში საბავშვო ბაღის სარემონტო, აღმაშენებლის ქუჩაზე სკვერის მოწყობისა და ხაშურში, ყიფიანის ქუჩის ნაწილობრივი მოასფალტების სამუშაოები.

სულ მუნიციპალიტეტი ადგილობრივი ბიუჯეტიდან ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებაში დახარჯავს 2 000 000-ზე მეტ ლარს, რაც, გასული წლის მაჩვენებლებს 500 000 ლარით აღემატება.

მუნიციპალიტეტის მოსახლეობამ მნიშვნელოვანი ზიანი განიცადა სტიქიური მოვლენების შედეგად. 2015 წლის 12-14 ნოემბერს ძლიერი ქარისა და წვიმის გამო დაზიანდა საბავშვო ბაღებისა და მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების სახურავები. დაიტბორა მოსახლეობა. საქართველოს მთავრობის დახმარებით და მუნიციპალიტეტის სახსრებით განხორციელდა ქ. ხაშურში გურამიშვილის ქუჩაზე მდებარე 4 (ღირებულებით 101 169ლარი.) და სოფელ მიწობის საბავშვო ბაღის (ღირებულებით 2 498 ლარი) დაზიანებული სახურავების რეაბილიტაცია. რეაბილიტაცია გაუკეთდა ასევე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების სახურავებს. კერძოდ, განხორციელდა:

- ქ. ხაშურში, გურამიშვილის ქ. 4-ში, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სახურავის მოწყობის სამუშაოები, ღირებულებით 90 333 ლარი.
- ქ. ხაშურში, მინისტარის დასახლებაში, 5 მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სახურავის მოწყობის სამუშაოები, ღირებულებით 109 207 ლარი.
- ქ. ხაშურში, ცხვირაშვილის ქ. №11 მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სახურავის მოწყობის სამუშაოები ღირებულებით 46 502 ლარი.
- ქ. ხაშურში, ლესელიძის ქ. №10 მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სახურავის რეაბილიტაცია, ღირებულებით 137 228 ლარი.
- ქ. ხაშურში, გაგარინის ქუჩაზე №74 მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სახურავის მოწყობის სამუშაოები, ღირებულებით 118 945 ლარი.

უყურადღებოდ არ დარჩენილა ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლებიც. სტიქიის შედეგად დაზარალებული ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების სახურავების შეკეთებისათვის განხორციელდა მასალების შესყიდვა (მოთუთიებული თუნუქის ფურცელი 400 ცალი), ღირებულებით - 22 485 ლარი, აზბოცემენტის შიფერი 395 ცალი - ღირებულებით 9479 ლარი და შეძენილ იქნა 3519 ლარის ღირებულების ხის მასალა. აღსანიშნავია, რომ სტიქიის შედეგად საცხოვრებლად უვარგისი გახდა სოფელ ახალშენში მცხოვრები ეთერ ხარებაშვილის საცხოვრებელი სახლი. საქართველოს მთავრობისა და გამგეობის ერთობლივი ძალისხმევით შესაძლებელი გახდა ეთერ ხარებაშვილისთვის აშენებულიყო ახალი საცხოვრებელი სახლი.

ასევე განხორციელდა სტიქიის შედეგად მდინარე სურამულას დაზიანებული ნაპირსამაგრი კედლების აღდგენითი სამუშაოები, ღირებულებით - 77 011ლარი.

ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სტიქიური მოვლენების შედეგების შემსწავლელი სამუშაო ჯგუფის წარდგინებით, კომპენსაცია გაიცა წყალდიდობის შედეგად დაზარალებულ 213 ოჯახზე და გაცემულმა თანხამ 79940 ლარი შეადგინა.

მუნიციპალიტეტს უყურადღებოდ არ დაუტოვებია 2016 წლის მაისის თვეში ქარიშხლის შედეგად დაზარალებული მოსახლეობა. 6 ოჯახზე დახმარების სახით გაიცა 3336 ლარი; ხოლო 2016 წლის 15 ივნისს სეტყვის შედეგად დაზარალებულ 35 ოჯახზე - 21076 ლარი.

რაც შეეხება ქონების მართვას, ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარების სამსახურის, მუნიციპალური ქონების აღრიცხვისა და მართვის განყოფილების მიერ გატარებული ღონისძიებებისა და პროცედურების შესაბამისად, ხაშურის მუნიციპალიტეტს საკუთრებაში 2016 წლის იანვრიდან დღემდე გადმოეცა სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 9 -ობიექტი.

საკრებულოს თანხმობით მივიღეთ საპრივატიზებო და სარგებლობის უფლებით გადასაცემი ობიექტების ნუსხა და დოკუმენტაციის შესაბამისი პაკეტი, რომელთა გაცემა მოქმედი კანონმდებლობის დაცვით განხორციელდა ელექტრონული აუქციონის წესით. საპრივატიზაციო მიწის ნაკვეთების საერთო ფართობი შეადგენდა 2995 კვ.მ, რომელთა ღირებულება სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ შეფასებული იქნა 119800 ლარად. აუქციონის საბოლოო შედეგების მიხედვით, აღნიშნული ნაკვეთები გაიყიდა 915800 ლარად, რაც საწყის ღირებულებას 796 000 ლარით აღემატება. ამჟამად აუქციონის წესით საპრივატიზაციოდ მზადდება ხაშურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 3766 კვ.მ. არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მეორადი სამშენებლო მასალები. ხაშურის და სურამის სასეირნო პარკში ატრაქციონებისთვის განსათავსებელი ფართი 9 ინდივიდუალურ მეწარმეზე გაიცა იჯარით.

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, რუსთაველის ქ. №38-ში მდებარე უძრავი ქონებიდან 145,2 კვ.მ. არასაცხოვრებელი ფართი 7 წლის ვადით, პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, სასყიდლით, იჯარის ფორმით „შპს რეფერალურ“ ცენტრს გადაეცა ხელოვნური თირკმლის ამბულატორიისა და სამედიცინო მომსახურების პუნქტის გახსნის მიზნით. ბენეფიციარებს, რომლებსაც აღნიშნულ მომსახურების მისაღებად მეზობელ რაიონებში უწევდათ მგზავრობა, ამჟამად მათთვის საჭირო სამედიცინო მომსახურებას ადგილზე მიიღებენ.

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ხაშურში, ფარნავაზის ქუჩა №4–ში მდებარე შენობის პირველ სართულზე განთავსებული უძრავი ქონების 197კვ.მ არასაცხოვრებელი ფართი გარემონტდა და პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, უვადოდ გადაეცა სსიპ „სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრს“, რომელიც განთავსებული იყო ნაქირავებ შენობაში.

ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარების სამსახურის სივრცითი მოწყობის და არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობის რეგულირების განყოფილების მიერ, 2016 წელს მოქალაქეთა მიერ შემოტანილი განცხადებების საფუძველზე, განხილული და 115 შემთხვევაში დამტკიცებული იქნა შემდგომში მშენებლობის ნებართვების მისაღებად მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები, შეთანხმებულია - I კლასის ობიექტების მშენებლობის 80 პროექტი, შეთანხმებულია 35 დოკუმენტაცია მიწის ნაკვეთის კატეგორიის ცვლილების შესახებ, დადგინდა ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის საკუთრებაში არსებული 15 მიწის ნაკვეთის საზღვრები.

გაიცა მშენებლობის 98 ნებართვა, მათ შორის: ხაზობრივ ნაგებობებზე - 11, საცხოვრებელ სახლებზე - 18, სავაჭრო ობიექტებზე - 7, სპორტკომპლექსზე - 1, სასტუმროზე - 1, საბავშვო ბაღის შენობაზე - 1, ავტოტექმომსახურებისა და ავტოსამრეცხაოს ობიექტებზე - 6, კომერციულ ობიექტებზე - 7, ავტოგასამართ სადგურზე - 1, ავტოფარეხზე - 1, საზკვების ობიექტებზე - 1, დემონტაჟზე - 9, საწარმოზე - 4, რეკონსტრუქციაზე - 25, სასაწყობე შენობებზე - 2, დამხმარე ნაგებობებზე - 3.

მშენებლობის სანებართვო მოსაკრებლებიდან შემოსულმა თანხამ შეადგინა - 25 147 (ოცდახუთიათას ასორმოცდაშვიდი) ლარი.

შედარებისთვის მოვიყვანთ წინა წლების სტატისტიკურ მონაცემებს:

2010 წელს გაიცა მშენებლობის - 30 ნებართვა;
2011 წელს გაიცა მშენებლობის - 34 ნებართვა;
2012 წელს გაიცა მშენებლობის - 57 ნებართვა;
2013 წელს გაიცა მშენებლობის - 67 ნებართვა;
2014 წელს გაიცა მშენებლობის - 84 ნებართვა;
2015 წელს გაიცა მშენებლობის - 125 ნებართვა;
2016 წელს 9 თვეში უკვე გაცემულია - 98 ნებართვა.

მუნიციპალიტეტი მხარს უჭერს სოფლის მეურნეობის სამუშაოების ხელშეწყობის პროექტის განხორციელებას. დღევანდელი მდგომარეობით დარეგისტრირებულია 13687 ბენეფიციარი. მათ შორის - 9042 ბენეფიციარი, რომელთა საკუთრებაშია 0.25 ჰა-ზე მეტი ფართობის სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწები და 4627 ბენეფიციარი, რომელთა საკუთრებაშია 0.25 ჰა-ზე ნაკლები ფართობის მქონე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწები. სულ მიღებულია 9042 სასოფლო-სამეურნეო ხვნის ბარათი.

2016 წლის მცირემიწიან ფერმერთა საგაზაფხულო სამუშაოების მთლიანი ღირებულება ჩვენი მუნიციპალიტეტისათვის 1 200 000 ლარზე მეტია.

საგაზაფხულოდ შესრულებულია 65 000 ლარის ხვნის სამუშაოები, სულ წლის განმავლობაში შესრულდება 350 000 ლარამდე ხვნის სამუშაოები. პროექტის ფარგლებში დახმარების სახით ბენეფიციარებმა მიიღეს 850 000 ლარის სათესლე მასალა და შხამქიმიკატები.

ჩვენი მუნიციპალიტეტის მოსახლეობა აქტიურად ჩაება სამთავრობო პროგრამა „აწარმოე საქართველოში “ მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობის” პროგრამაში 2015 წლიდან.

„აწარმოე საქართველოში „მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობის„ პროგრამა გრძელდება. მუნიციპალიტეტიდან მიმდინარე წელს წარდგენილია 300 პროექტი. 50 ბენეფიციარმა გადალახა ბიზნეს გეგმის წარდგენის ეტაპი, რომელთაგან დაფინანსება მოიპოვა 22-მა.

„მთის განვითარებისათვის მიკრო გრანტების“ პროექტში ჩაერთო 53 ბენეფიციარი. მათგან დაფინანსება მიიღო 7-მა.

სულ ორივე პროგრამის ფარგლებში დაფინანსება მიიღო 29 ბენეფიციარმა. ინვესტიციის სავარაუდო თანხა მუნიციპალიტეტში შეადგენს 130 000 ლარზე მეტს.

„თემის განვითარების ინიციატივა მცირე ბიზნესის განვითარების ხელშეწყობისთვის დასავლეთის მიმართულების საექსპორტო ნავთობსადენის მარშრუტის აღმოსავლეთ მონაკვეთზე“ პროექტის ფარგლებში გამართულ კონკურსში, 13 სამიზნე სოფლიდან (ვაყა, ფლევი, ნაცარგორა, დუმაცხოვი, ახალუბანი, ქინძათი, ცხეთიჯვარი, ქვ. ბროლოსანი, კლდისწყარო, ტიტვინისწყარო, ზემო ბროლოსანი, ჩორჩანა). მონაწილეობა მიიღო 95 დაინტერესებულმა პირმა, რომელთაგან ბიზნესპროექტი წარადგინა 57 პირმა. კონკურსი წარმატებით გაიარა და დაფინანსდა 23 პროექტი. პროექტის დაფინანსებით ამუშავდა 5 წისქვილი, მეცხოველეობის 8 ფერმა და მეფუტკრეობის 4 საწარმო, ხორციელდება მარწყვის და ჟოლოს მოყვანა-რეალიზაციის, მებოსტნეობისა და წვეთოვანი სისტემისა და სხვა პროექტები.

2015 წლის ივნისში მიღებულია „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონი, რომლის მიზანია მაღალმთიანი სოფლების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება. პირველ ეტაპზე, ჩვენი მუნიციპალიტეტიდან მაღალმთიანი სოფლის სტატუსი მიენიჭა 25 სოფელს, მეორე ეტაპზე ხაშურის მუნიციპალიტეტის ძალისხმევით რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსთან და სამხარეო ადმინისტრაციასთან თანამშრომლობით კიდევ 8 სოფელს მიენიჭა აღნიშნული სტატუსი.

(გაგრძელება IV გვერდზე)

ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგებლის გიორგი გურასპაშვილის ერთწლიანი მუშაობის ანგარიში

(გაგრძელება)

განხილვის პროცესშია 4 სოფლის საკითხი. ამჟამად ხაშურის მუნიციპალიტეტში 33 სოფელს აქვს მაღალმთიანი დასახლების სტატუსი.

2015 წლის 19 ნოემბერს საქართველოს მთავრობამ მიიღო დადგენილება „მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მინიჭების, შეწყვეტის შეჩერების და აღდგენის წესის დამტკიცების შესახებ“.

მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსი პირველად ეტაპზე მიენიჭა 1288 მოქალაქეს. გამგეობასთან არსებული „მაღალმთიან დასახლებაში მცხოვრებთა სტატუსის მართვის საბჭოს“ მიერ აღნიშნული სტატუსი მიენიჭა 315 მოქალაქეს. მოქალაქეთა განცხადებების მიღება გრძელდება.

მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ საქართველოს კანონის მიხედვით დაწესებულია შეღავათები მაღალმთიან დასახლებაში მცხოვრები პენსიონერებისათვის- დანამატი სახელმწიფო პენსიის არანაკლებ 20 %, სოციალურად დაუცველი ოჯახებისთვის სოციალური პაკეტის 20 %, დანამატი ექიმების და ექთნებისთვის, საჯარო სკოლის მასწავლებლებისთვის, 2016 წლის 1 იანვრის შემდგომ დაბადებული ბავშვებისთვის 1 წლის განმავლობაში პირველი და მეორე ბავშვის შეძენისას ყოველთვიურად 100 ლარი ფულადი დახმარება, მესამე და შემდგომი ბავშვისთვის 2 წლის განმავლობაში 200 ლარიანი დახმარება და სხვა. სულ 600-ზე მეტმა პენსიონერმა 1 სექტემბრიდან მიიღო საპენსიო დანამატი. მუნიციპალიტეტის გამგეობის შესაბამისი კომისიის აქტიური მუშაობის შედეგად, სტატუსმიღებული პენსიონერების წილი ჩვენს მუნიციპალიტეტში მნიშვნელოვნად მეტია რეგიონის სხვა მუნიციპალიტეტებთან შედარებით.

დაიწყო და აქტიურად მიმდინარეობს მიწის გამარტივებული რეგისტრაციის პროცესი, რომელშიც მუნიციპალიტეტის გამგეობაცაა ჩართული.

კანონის შესაბამისად, შეიქმნა საკუთრების უფლების აღიარების კომისია, რომელიც აქტიურად მუშაობს და განისაზღვრა მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები, რომლებიც ჩართულები არიან მიწის ნაკვეთების ადგილმდებარეობისა და იდენტურობის დადგენაში.

მუნიციპალიტეტის მოსახლეობა უკვე რამდენიმე წელია იღებს ბარათს საშეშე მერქნის შესაძენად. წელს ასეთი დახმარებით ისარგებლებს მუნიციპალიტეტში მცხოვრები 19295 ოჯახი, რომლებიც მიიღებენ საშეშე მერქნის ბარათს 7 კუბური მეტრის მოცულობით, ხოლო მაღალმთიან სოფლებში მცხოვრებლები 15 - კუბურ მეტრის ოდენობით.

მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული ა(ა)იპ "ხაშურსერვისის" მიერ ქალაქ ხაშურისა და დაბა სურამის ქუჩებში განთავსებული კონტეინერებიდან ყოველდღიურად, ხოლო 13 ტერიტორიული ორგანოდან ყოველკვირეულად ხორციელდება ნარჩენების გამოტანა. ხაშურში დამონტაჟდა სპეციალური ბუნკერები პლასტმასის ნარჩენებისთვის. იგეგმება მსგავსი ბუნკერების რაოდენობის გაზრდაც. ასევე იწმინდება შიდა სამეურნეო დანიშნულების კიუეტები და არხები. მოსწორდა და გაიწმინდა უკანონო ნაგავსაყრელები. ხაშურსა და ადმინისტრაციულ ერთეულებში შემავალ სოფლებში მოშანდაკდა, მოიხრეშა და მოსწორდა გზები, მოეწყო სანიაღვრეები. გამართულად მუშაობს გარე განათების ქსელი.

2016 წლის განვლილ პერიოდში, ა(ა)იპ „სავანე"-ს მიერ განხორციელდა და შესრულებული იქნა ყველა ის სამუშაო, რომელიც გათვალისწინებულია ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცებული პროგრამებით. კერძოდ, ყოველდღიურად მიმდინარეობს ქ. ხაშურში არსებული სკვერების, გაზონებისა და ხაშურის კულტურისა და დასვენების ბაღის დაგვა-დასუფთავება. აღნიშნულ სკვერებში, გაზონებში და კულტურისა და დასვენების ბაღში ჩატარებულია და ამჟამადაც მიმდინარეობს აგროტექნიკური პირობებით გათვალისწინებულ სამუშაოები. კეთილმოეწყო ხაშურის კულტურისა და დასვენების პარკი, ადმინისტრაციული შენობის წინ მდებარე ცენტრალურ მოედანთან არსებული სკვერი, თამარ მეფის ქუჩაზე რკინიგზის გადასასვლელ ხიდთან არსებული თამარ მეფის სახელობის სკვერი, ხაშურის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკის შენობის და ხაშურის კულტურის ცენტრის წინ მდებარე ტერიტორიები, დაბა სურამის „რკინის წყლის" მიმდებარე ტერიტორია.

ხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული გადაბერებული და ამორტიზებული ხეების მოჭრა-გადაბელვა. გადაბელილი და მოჭრილი ხეები იხერხება და სოციალურად დაუცველი ოჯახების განცხადებების შესაბამისად, ხდება თითოეულის დაკმაყოფილება. დღეის მდგომარეობით საშეშე მერქანი გაცემულია 18 სოციალურად დაუცველ ოჯახზე.

მთლიანად იქნა შეცვლილი ხაშურში, ცენტრალურ მოედანთან მდებარე შადრევნის სისტემა, მოძველებული საკანალიზაციო ქსელი და ამავე შადრევნის ტერიტორიაზე საკუთარი სახსრებით წყლის მუდმივი მიწოდებისათვის გაკეთდა არტეზიული ჭა. ასევე, გაყვანილი იქნა მორწყვის სისტემა ცენტრალურ სკვერსა და პოლიციის შენობასთან მდებარე შადრევნის სკვერის ტერიტორიებზე.

მოწყობილია უმეთვალყურეოდ დარჩენილი ცხოველების საკარანტინო შენობა;

ინტენსიურად მიმდინარეობდა ზემოსერის, გორათის და ჭალის სასაფლაოების მოვლა-პატრონობისა და დასუფთავების სამუშაოები.

მუნიციპალიტეტი მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობს სამშენებლო საქმიანობაზე ადმინისტრაციულ ზედამხედველობის საკითხს.

2016 წელს, სამართალდარღვევათა პრევენციის და აღკვეთის ღონისძიებათა მიზნით, ზედამხედველობის სამსახურის მიერ ხორციელდებოდა ეტაპობრივი შემოწმება ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, განსაკუთრებით ხაშურსა და დაბა სურამში რუსთაველის, ფალიაშვილის, დავით აღმაშენებლის და სხვა ცენტრალურ ქუჩებზე, რის შესაბამისადაც გაფრთხილებული იქნენ მოქალაქეები საქართველოს კანონის „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-თ გათვალისწინებული სამშენებლო სამართალდარღვევათა შესახებ, აგრეთვე, შსს ხაშურის სამმართველოს პოლიციასთან ერთად ხორციელდებოდა ხაშურის ცენტრალური ქუჩების ტროტუარების (რუსთაველის და იმერეთის ქუჩები) გარე მოვაჭრეებისაგან გათავისუფლების ღონისძიებები.

მოქალაქეებს პერმანენტულად ეძლეოდათ განმარტებები მათი უფლებებზე და მოვალეობებზე. კერძოდ, არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობის ზედამხედველობის განხორციელების შესახებ, სამშენებლო საქმიანობაში დარღვევის არსებობის შემთხვევაში, მშენებლობაში მონაწილეთა მიმართ მითითების გაცემის წესის, სამშენებლო ნორმების და სხვა ნორმატიული დოკუმენტაციის მოთხოვნების დარღვევით შესრულებული სამშენებლო სამუშაოების და საქართველოს კანონის „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-თ გათვალისწინებული საჯარიმო სანქციების შესახებ.

ზედამხედველობის სამსახური საქართველოს კანონი „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის" თანახმად, საქმის წარმოებას მითითების ან შემოწმების აქტის შედგენით იწყებს, რის შესაბამისადაც, 2016 წელს ზედამხედველობის სამსახურის მხრიდან, სულ გაცემული არის სამშენებლო სამართალდარღვევის ფაქტზე 11 მითითება, ხოლო 16 შემოწმების აქტით დაიწყო სამშენებლო სამართალწარმოება, რაზედაც გატარდა კანონით გათვალისწინებული საჯარიმო ღონისძიებები, რის საფუძველზეც ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობის ბიუჯეტში საჯარიმო სანქციებით ამ ეტაპისთვის შემოსულია 13 400 ლარი და დანარჩენ საქმეებზე მიმდინარეობს ადმინისტრაციული წარმოება.

პრევენციის მიზნით, მოქალაქეებს, რომელთა კუთვნილ პროექტებს უმთავრდებათ მშენებლობის ნებართვის ვადები, ვადის დასრულებამდე 2 თვით ადრე ეგზავნებათ გაფრთხილებები, რათა მშენებლობის ვადის გაშვებამ არ გამოიწვიოს კანონით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციების გამოყენება.

ზედამხედველობის სამსახურის შესყიდვების ხარისხის კონტროლის განყოფილების მიერ 2016 წელს ექსპლუატაციაში იქნა მიღებული 22 მშენებლობადამთავრებული ობიექტი. მათ შორის:

1. ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი ---6;
2. სავაჭრო ობიექტი -- 3;
3. ავტოსამრეცხაო (კომპლექსი) –4;
4. ავტოგასამართი სადგური --3;
5. ფერმა --2;
6. საწყობი --3;
7. დამხმარე სათავსო --2;
8. დარბაზი -1;
9. სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადასამუშავებელი საამქრო --1.

შესყიდვების და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილებიდან ზედამხედველობის სამსახურის შესყიდვების ხარისხის კონტროლის განყოფილებას საზედამხედველოდ 2016 წელს გადაეცა 40 ხელშეკრულება და მიმდინარეობს ყველა ხელშეკრულებაზე ინსპექტირება.

მუნიციპალიტეტის გამგეობა მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობს სოციალური დაცვის სფეროში მუნიციპალური რესურსების მობილიზებას.

2016 წელს შემუშავებულ იქნა 938 800 ლარის ფულადი დახმარების მუნიციპალური პროგრამები. მათ შორის:

ა) საზოგადოებრივი ჯანმრთელობის მუნიციპალური პროგრამა - 95 000 ლარი;

ბ) სოციალურად დაუცველი მოსახლეობის ფულადი სოციალური დახმარების მუნიციპალური პროგრამა - 696 000 ლარი;

გ) შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეთა სოციალური მომსახურების პროგრამა - 27 800 ლარი;

დ) კონფლიქტის ზონასთან მიმდებარე და მთიანი სოფლების საჯარო სკოლების პედაგოგების უფასო მგზავრობის უზრუნველყოფის მუნიციპალური პროგრამა - 20 000 ლარი;

ე) უმწეოთა უფასო კვების მუნიციპალური პროგრამა - 80 000 ლარი;

ვ) სახელოვნებო სკოლების დევნილი და სოციალურად დაუცველი მოსწავლეების უფასო მომსახურების მუნიციპალური პროგრამა - 20 000 ლარი;

2016 წლის 1-ლი ოქტომბრის მდგომარეობით მუნიციპალიტეტში სოციალურ სფეროს მოხმარდა 710 000 ლარი, სხვადასხვა ფორმით სოციალური დახმარება გაეწია 3 000 -ზე მეტ პირს და ოჯახს.

მთლიან მოცულობაში მაღალი ხვედრითი წილი უკავია სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი (მათ შორის დევნილი) ოჯახების დახმარებას. 2016 წლის განმავლობაში ამ კატეგორიის თითოეულმა ოჯახმა მიიღო ფულადი დახმარება 300 ლარის ფარგლებში.

გაწეული დახმარების მთლიან მოცულობაში ასევე მნიშვნელოვანი წილი უკავია ხელმოკლე სტუდენტებისათვის გაწეულ დახმარებას. სწავლის ქირის თანადაფინანსებისათვის (800 ლარის ფარგლებში) 55 სტუდენტს შესაბამის უმაღლეს სასწავლებელში ჩაერიცხა 41800 ლარი.

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე 130 ბენეფიციარს გაეწია 39 000 ლარის დახმარება.

36-მა თირკმლის დიალიზზე მყოფმა მოქალაქემ მიიღო დაფინანსება 18 000 ლარის ოდენობით.

დედის დღესთან დაკავშირებით 165 მრავალშვილიანმა დედამ მიიღო 55 900 ლარის ფულადი დახმარება. მიმდინარე წელს მუნიციპალიტეტს შეემატა 19 მრავალშვილიანი ოჯახი. მათ გაეწიათ ფინანსური დახმარება 7300 ლარის ოდენობით.

გრძელდება სოციალური დახმარების გაწევა დედ-მამით ობოლ ბავშვებზე. დღეის მდგომარეობით, მუნიციპალიტეტში ასეთი 10 ბავშვია. მათ მიიღეს დახმარება 7 300 ლარის ოდენობით.

საყოველთაო ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამის ამოქმედებამ შესაძლებელი გახადა გამოთავისუფლებული სახსრები სხვა მიმართულებებით გადანაწილებულიყო.

სოციალურად დაუცველი მოსახლეობის მკურნალობის ხელმისაწვდომობის გაზრდისათვის დადებითი როლი ითამაშა მოზარდების სარეაბილიტაციო კურსის, ქრონიკული დაავადებების მქონე ავადმყოფების მედიკამენტების,

(გაგრძელება V გვერდზე)

ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგებლის გიორგი გურასპაშვილის ერთწლიანი მუშაობის ანგარიში

(გაგრძელება)

ზოგიერთი კატეგორიის მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების 2000 ლარის ფარგლებში დაფინანსების ღონისძიებებმა, რასაც 243 337 ლარი მოხმარდა.

პარალელურად, გრძელდება წინა პერიოდში დაწყებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლეების დღის ცენტრის დაფინანსების, მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლების დევნილი და სოციალურად დაუცველი მოსწავლეების უფასო მომსახურების მუნიციპალური პროგრამები, რომლებიც 200 მოსწავლეზე ვრცელდება (48 000 ლარი).

გარდა ამისა, უმწეო მდგომარეობაში მყოფი 185 მოქალაქე სარგებლობს უფასო სასადილოს მომსახურებით, რომლის დაფინანსება შეადგენს 80 000 ლარს. გრძელდება კონფლიქტის გამყოფი ხაზის მიმდებარე და მთიანი სოფლების საჯარო სკოლების პედაგოგების მგზავრობის დაფინანსების მუნიციპალური პროგრამა;

მიმდინარე წელს, დევნილ და სოციალურად დაუცველ 685 ოჯახს, სააღდგომო და საახალწლო დღესასწაულთან დაკავშირებით, 59 299 ლარის ღირებულების კვების პროდუქტებით გაეწიათ დახმარება.

ხაშურის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის 2016 წლის პროგრამით გათვალისწინებული გასატარებელი ღონისძიებების ფარგლებში, შემოწმდა ქალაქ ხაშურისა და მუნიციპალიტეტში შემავალი სოფლების სკოლებისა და საბავშვო ბაღების სანიტარულ–ჰიგიენური და სანიტარულ-ტექნიკური მდგომარეობა. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ამ პერიოდში ეპიდსიტუაცია დამაკმაყოფილებელია. ჩატარებულია ეპიდსაწინააღმდეგო ღონისძიებები. დაიწყო და გრძელდება სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებული, „ც" ჰეპატიტის უფასო სკრინინგული კვლევები.

მუნიციპალიტეტი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს კულტურულ და სპორტულ ღონისძიებებს. მიმდინარე წლის დასაწყისში, იანვრის თვეში, ტრადიციულად, საზეიმოდ აღინიშნა შობა–ახალი წლის დღესასწაული. ახალი წლის ღამეს, ღია ცის ქვეშ, შოუ–ბიზნესის ცნობადი სახეების მონაწილეობით გაიმართა კონცერტი, რომელიც დასრულდა ფეიერვერკით.

მარტის თვეში, აღინიშნა 3 მარტისა და 8 მარტის დედათა და ქალთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებები. 3 მარტს ჩვილი ბავშვისთვის საჭირო ნივთებით დასაჩუქრდნენ სამშობიარო სახლში მყოფი დედები, ხოლო სარვამარტოდ დასაჩუქრდნენ მუნიციპალიტეტის უხუცესი პედაგოგი ქალბატონები. საქალაქო კულტურის სახლში გაიმართა ქალთა დღისადმი მიძღვნილი ფესტივალი „იავნანა".

მარტის თვეში ხაშურის სამუსიკო სკოლის დარბაზში შედგა შეხვედრა თანამედროვეობის გამოჩენილ პოეტთან, ტარიელ ხარხელაურთან.

მარტის ბოლოს, ხაშურის მუნიციპალიტეტს სტუმრობდა ისრაელის სახელმწიფოს ქალაქ რამლას ოფიციალური დელეგაცია. ორ ქალაქს შორის გაფორმდა მეგობრობის მემორანდუმი.

9 აპრილს ჩატარდა დაღუპულთა ხსოვნისადმი მიძღვნილი ღონისძიება.

9 მაისს, დიდ სამამულო ომში გამარჯვების 71 წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიებების ფარგლებში, გვირგვინებით შეიმკო დაღუპულთა მემორიალი, გაიმართა ვეტერანებთან შეხვედრა და სანახაობრივი წარმოდგენა, სადაც მუნიციპალიტეტის ბავშვთა და მოზარდთა შემოქმედებითი განვითარების ცენტრის მოსწავლეებმა და კულტურის ცენტრების გაერთიანების ფოლკლორული და საესტრადო ანსამბლის წევრებმა საინტერესოდ წარმოაჩინეს საკუთარი შემოქმედება. თითოეულ ვეტერანს საჩუქრად გადაეცა სასურსათო პაკეტი.

მაისის თვეში, სურამის კულტურის ცენტრში, ჩატარდა შემოქმედებითი გაერთიანება „ეროვნული იმპერატივის" სპექტაკლი „საუკუნის მკვლელობა–გზა ილიასი", ხოლო ხაშურის საქალაქო კულტურის ცენტრში თავისუფალი თეატრის სპექტაკლი „ჯინსების თაობა" და მსახიობ ლეო ანთაძის მონო-სპეკტაკლი „ბახტრიონი".

ზაფხულის პერიოდში სახალხო თეატრმა წარმოადგინა სპექტაკლი „უფროსი ვაჟი". ხოლო კულტურის ცენტრთან არსებულმა განახლებულმა დრამატულმა თეატრმა შემოგვთავაზა სპექტაკლი „სიყვარული იმერულად".

წლის განმავლობაში, პერიოდულად, სამუსიკო სკოლის წარმატებული მოსწავლეები ფინანსდებოდნენ სხვადასხვა დონის ადგილობრივ თუ საერთაშორისო კლასიკური მუსიკის ფესტივალ–კონკურსებზე მონაწილეობისათვის.

ასევე დაფინანსდა ბავშვთა და მოზარდთა შემოქმედებითი განვითარების ცენტრის ქორეოგრაფიული ანსამბლი „დაისი" ხელოვნების ფესტივალში მონაწილეობისათვის. ფინანსური დახმარება გაეწია კულტურის ცენტრებთან არსებულ საესტრადო ანსამბლ „ციცინათელას" სოლო კონცერტის ჩატარებისათვის და საბავშვო და ახალგაზრდულ საგუნდო–ეროვნულ კონკურსში მონაწილეობისათვის. პერიოდულად, ფინანსური მხარდაჭერა აქვს ფოლკლორულ ანსამბლს „ქართლი" ხალხური სიმღერის კონკურსებში მონაწილეობისათვის. ქორეოგრაფიული ანსამბლი „ფრესკა" გამგეობის დაფინანსებით გაემგზავრა ლატვიის ქალაქ ბაუსკაში, ანსამბლ „უანდალსის" საიუბილეო ღონისძიებებზე მონაწილეობის მისაღებად.

ხაშურის კულტურულ ცხოვრებაში განსაკუთრებული წვლილის შეტანისათვის ასევე განსაკუთრებულად აღინიშნა ორი ქალბატონის, ნანი გაჩეჩილაძისა და ლიანა ტატიშვილის საიუბილეო თარიღები და საზეიმო ვითარებაში გაიხსნა მათი ვარსკვლავები.

სხვადასხვა ღონისძიებით აღინიშნა საქართველოს დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებული კვირეული. 26 მაისს კი, საქალაქო კულტურის ცენტრში გაიმართა დასკვნითი გალა–კონცერტი.

1 ივნისი, ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე საზეიმოდ აღინიშნა ქალაქის კულტურისა და დასვენების პარკში, ღია ცის ქვეშ. ღონისძიების მონაწილე თითოეული პატარა დასაჩუქრდა. საქალაქო კულტურის სახლში კი, გაიმართა კონცერტი მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების აღსაზრდელთა მონაწილეობით. ბაღის ყველა კურსდამთავრებული დასაჩუქრდა.

მუნიციპალიტეტში ფოლკლორისა და ტურიზმის განვითარების მიზნით, მიმდინარე წლის ზაფხულში, დაბა სურამში, ბაიანთხევის ტყე–პარკში ჩატარდა ფესტივალი „არტ გენი". ფესტივალის ფარგლებში მოეწყო ხალხური რეწვის ნიმუშების გამოფენა, ღვინის დეგუსტაცია, ქართული ხალხური საბრძოლო ხელოვნების ჩვენება „შავფაროსნების" შესრულებით, როგორც ადგილობრივი, ასევე მეზობელი მუნიციპალიტეტების ფოლკლორული და ქორეოგრაფიული ანსამბლების დათვალიერება. ფესტივალი დასრულდა მუსიკალური ჯგუფების „რაჭველებისა" და „ფრანის" კონცერტით.

პერიოდულად იმართება კონცერტები სხვადასხვა ფოლკლორული ჯგუფების („ბასიანი", „იალონი", „მზეშინა", „აღსავალი", „რაეო") მონაწილეობით. სამუსიკო სკოლის საკონცერტო დარბაზში გაიმართა გორის ქალთა კამერული გუნდის კონცერტი. ასევე, წლის განმავლობაში, იმართება კონცერტები ახალგაზრდა მსმენელის მოთხოვნის შესაბამისად. გაიმართა რამდენიმე საქველმოქმედო აქცია.

2008 წლის 8 აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომის ხსოვნასთან დაკავშირებული კვირეული აღინიშნა ღონისძიებებით. გვირგვინებით შეიმკო ომში დაღუპულთა საფლავები.

ასევე გვირგვინით შეიმკო 27 სექტემბერს, სოხუმის დაცემის დღეს, აფხაზეთის ომში დაღუპულთა მემორიალი.

აქცია „გააფერადე გადასასვლელი"–ს ფარგლებში მოიხატა ფეხით მოსიარულეთა გადასასვლელები კულტურისა და დასვენების პარკისა და ხაშურის №3 საჯარო სკოლის ტერიტორიაზე. აქციაში ჩართული იყვნენ ბავშვთა და მოზარდთა შემოქმედებითი განვითარების ხატვის წრის მოსწავლეები.

2016 წლის სექტემბრის თვეში გაიმართა სახალხო დღესასწაული „ხაშური – ოქროს შემოდგომა 2016" და ქართველი და უკრაინელი ხალხების მეგობრობის დღესასწაული "ლესიაობა". ღონისძიებებზე ვუმასპინძლეთ ექვსი ქვეყნის: უკრაინის, ბელორუსიის, ლიტვის, ლატვიის, პოლონეთის და შვედეთის დამეგობრებული ქალაქების დელეგაციებს; ამ დღესასწაულთან დაკავშირებით კულტურისა და დასვენების პარკში და საზეიმოდ გახსნილ ყაზბეგის ქუჩის მონაკვეთში მოეწყო გამოფენები, მცირე საკონცერტო ნომრები, ღვინისა და თაფლის დეგუსტაცია, სოფლის ნობათის გამოფენა–დაგემოვნება. დღესასწაულზე საზეიმოდ დაჯილდოვდნენ საპატიო ხაშურელები, დამსახურებული სპორტსმენები და 100%–იანი დაფინანსების მქონე 13 სტუდენტი. სახალხო დღესასწაულზე გაიმართა ჯგუფ „ეგარი"–ს კონცერტი.

ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების თვალსაზრისით, ხაშურის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების უფროსკლასელთა შორის ჩატარდა ინტელექტუალური თამაში „ბიგ რაუნდი". ჩვენივე დაფინანსებით ფინალური შეხვედრა გაიმართა ზღვისპირა ქ. ქობულეთში, სადაც ფინალში გასული სკოლების გუნდები და გამარჯვებული, ხაშურის №8 საჯარო სკოლის მოსწავლეები დაჯილდოვდნენ სამახსოვრო მცირე ფასიანი საჩუქრებით.

ამასთანავე, ორგანიზება გაეწია საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს მიერ გამოცხადებულ ინტელექტის დღესთან დაკავშირებულ კონკურსს.

სხვადასხვა პერიოდში, გამგეობის მხარდაჭერით, მოეწყო გამწვანების აქციები მოსწავლე-ახალგაზრდობისა და საჯარო სამსახურებში დასაქმებულ პირთა მონაწილეობით, გაიმართა ახალგაზრდული კონფერენცია თემაზე „ადამიანი, კანონი, თავისუფლება", ჩატარდა მედია-პროექტ „ეტალონის" მორიგი შეხვედრა.

მუნიციპალიტეტის მხრიდან მუდმივად ხდება ხაშურელი წარმატებული ახალგაზრდების ხელშეწყობა, რაც ითვალისწინებს მათ ჩართულობას მთელი ქვეყნის მასშტაბით გამართულ სხვადასხვა პროექტში. ასევე მოხდა ახალგაზრდული სასკოლო ოლიმპიადის მხარდაჭერა და საჭირო ინვენტარით უზრუნველყოფა.

ოქტომბრის დასაწყისში საზეიმოდ აღინიშნა მასწავლებლის დღე. ფასიანი საჩუქრებით დაჯილდოვდნენ წარმატებული მასწავლებლები.

ხაშურელი ხელოვანების წახალისებისა და მათი შემოქმედების უკეთ წარმოჩენის მიზნით უკვე მომზადდა და უახლოეს პერიოდში გამოიცემა პოეტების, კლარა გელაშვილისა და ალექსანდრე ღონღაძის ლექსების კრებულები.

ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის მიერ გამოიცა ორტომეული „დიმიტრი ყიფიანი", მომზადდა და გამოიცა ქართულ და ინგლისურენოვანი გზამკვლევი „ხაშურის რაიონი".

აღინიშნა სახალხო დღესასწაული „ყიფიანობა".

რესტავრაცია გაუკეთდა მუზეუმში დაცულ ექსპონატებს: არქეოლოგიურ ჭურჭელს, დოკუმენტებს, ფოტოებს. მუნიციპალური დაფინანსებით შესყიდულია ანტიკური და ფეოდალური ხანის ნუმიზმატიკური, არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული ნივთების კოლექცია.

სამუზეუმო გაერთიანებაში, წელს პირველად, აღინიშნა მუზეუმის საერთაშორისო დღე, რომლის ფარგლებში გაიმართა კვირეული. ჩატარდა საინტერესო ღონისძიებები, მოეწყო ხაშურელი მხატვრების გამოფენა.

წლის განმავლობაში მრავალი საინტერესო ღონისძიებით გამოირჩეოდა ხაშურის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკა. საბიბლიოთეკო საქმიანობასთან და საგანმანათლებლო პროგრამებთან ერთად, მნიშვნელოვანი იყო ისეთ თანამედროვე და აქტუალურ მოღვაწეებთან შეხვედრა, როგორებიც არიან მწერალი გიორგი კეკელიძე და საზოგადო მოღვაწე გელა ჩარკვიანი.

საქართველოს მასშტაბით ჩატარებულ კონკურსში, "თანამედროვე ტექნოლოგიები, ჩემი ბიბლიოთეკის მოდერნიზაცია" ხაშურის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკამ გამარჯვება მოიპოვა.

მოსახლეობაში და განსაკუთრებით ახალგაზრდა თაობაში, ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების თვალსაზრისით, განხორციელდა სხვადასხვა დონის სპორტული შიდა, რეგიონალური, რესპუბლიკური და საერთაშორისო ტურნირები სპორტის შემდეგ სახეობებში: ფეხბურთი, კალათბურთი, ქართული ჭიდაობა, ჭიდაობა-ძიუდო, ჭიდაობა-სამბო, ბერძნულ-რომაული ჭიდაობა თავისუფალი ჭიდაობა, ჭადრაკი, ძალოსნობა. ხაშურის მუნიციპალიტეტის სასპორტო სკოლის აღსაზრდელებმა საპრიზო ადგილები მოიპოვეს ევროპის ჩემპიონატებზე ჭიდაობა სამბოში, თავისუფალ ჭიდაობაში და ძალოსნობაში. ასევე ჭიდაობის სხვადასხვა სახეობაში რესპუბლიკის მასშტაბით გამართულ ჩემპიონატებზე არაერთმა სპორტსმენმა მოიპოვა საქართველოს

(დასასრული VI გვერდზე)

(დასასრული)

ჩემპიონის ტიტული და სხვადასხვა საპრიზო ადგილი.

სასპორტო სკოლის საფეხბურთო გუნდებმა მონაწილეობა მიიღეს 2005–2007 წლებში დაბადებულთა შორის გამართულ ნოდარ ახალკაცის სახელობის საერთაშორისო ტურნირზე, სადაც მოიპოვეს მეორე და მესამე საპრიზო ადგილები. სხვადასხვა ასაკობრივი საფეხბურთო ჯგუფები კი აქტიურად იყვნენ ჩართულნი და მონაწილეობდნენ ელიტ–ლიგისა და თბილისის მერიის თასის გათამაშების ტურნირებში.

ხაშურის საფეხბურთო გუნდ „ივერია“–მ ითამაშა საქართველოს მეორე ლიგის თასის გათამაშებაში და მოიპოვა II საპრიზო ადგილი.

ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობა გამოხატავს მხარდაჭერას და ვეტერან და მოქმედ სპორტსმენებს აფინანსებს საერთაშორისო მასშტაბით გამართულ ჩემპიონატებზე და შეკრებებზე მონაწილეობისათვის.

სპორტული ღონისძიებების ასიგნების ფარგლებში, მოხდა მწვრთნელის, გიორგი კვინიკაძის მივლინება ყაზახეთში ტრენინგ–სემინარებზე. სასპორტო სკოლის ოთხ დამსახურებულ მწვრთნელს (ბუხუტი ბუხრიკიძე, ბეგლარ ხარშილაძე, არჩილ მამულაშვილი, მალხაზ ნოზაძე) გადეცა ფულადი ჯილდო.

სოფლად სპორტის განვითარების და აღორძინების, ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების მიზნით ხაშურის მუნიციპალიტეტის არაერთ სოფელში შეიქმნა ჯგუფები სპორტის სხვადასხვა სახეობაში, რომელშიც ვარჯიშობენ იქ მცხოვრები ახალგაზრდები. ისინი მონაწილეობენ როგორც ადგილობრივ და რეგიონალურ ტურნირებსა და ჩემპიონატებში, ასევე რესპუბლიკის მასშტაბით დაგეგმილ ჩემპიონატებშიც.

ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგებლის გიორგი გურასპაშვილის ერთწლიანი მუშაობის ანგარიში

ქართული ჭიდაობის პოპულარიზაციის მიზნით, მუნიციპალიტეტისა და შიდა ქართლის ქართული ჭიდაობის ფედერაციის მიერ უზრუნველყოფილი იქნა მუნიციპალიტეტის სხვადასხვა სოფლებში ჭიდაობის ორგანიზება-ჩატარება.

გარკვეულ მუშაობას ეწევა გამგეობის სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახური საქართველოს კანონის „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ შესაბამისად. წარმატებით სრულდება საგაზაფხულო-საშემოდგომო გაწვევის გეგმები და პირველად სამხედრო აღრიცხვაზე აყვანის ღონისძიებები. სამსახური სამოქმედო ტერიტორიაზე სისტემატიურად სწავლობს სამხედრო ვალდებულ პირთა მდგომარეობას და შესაბამისობაში მოჰყავს მონაცემთა ბაზა. შესაბამისად, ყოველწლიურად წარუდგენს დეტალურ ანგარიშს შესაბამის სამინისტროს სამხედროვალდებულ პირთა შესახებ;

გამგეობის მუდმივი ზრუნვის საგანს წარმოადგენს ადამიანური რესურსების მართვის საკითხების სრულყოფა. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა როგორც გამოცდილი - პროფესიონალი, ასევე ახალგაზრდა, მოტივირებული კადრების დასაქმებას გამგეობის სტრუქტურულ ერთეულებში.

ამ მიზნით, მიმდინარე წლის მაისის თვეში, ხაშურის ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა საკონკურსო-საატესტაციო კომისიის მიერ გამოცხადებულ იქნა კონკურსი 13 ვაკანტურ თანამდებობაზე. მათ შორის: 7 სპეციალისტის და 5 მთავარი სპეციალისტის თანამდებობაზე. პირველ შესარჩევ ეტაპზე მონაწილეობა მიიღო 55-მა კონკურსანტმა. კონკურსის მეორე ეტაპზე (ტესტირებაზე) გადასასვლელად, საკონკურსო-საატესტაციო კომისიის გადაწყვეტილებით, დადგენილი შერჩევა-შეფასების ეტაპი გადალახა 36-მა კონკურსანტმა, ხოლო ტესტირების მინიმალური ზღვარი ვერ გადალახა 19-მა კონკურსანტმა.

გასაუბრების შედეგების მიხედვით, ვაკანტურ თანამდებობებზე დასანიშნად ადგილობრივი თვითმმართველობის საკონკურსო-საატესტაციო კომისიამ წარდგინება გაუკეთა 10 პირს, რომლებიც დაინიშნენ შესაბამის ვაკანტურ თანამდებობებზე სამი თვის გამოსაცდელი ვადით.

გამოცხადებული იყო კონკურსი ხაშურის მუნიციპალიტეტის ცხრამუხის ადმინისტრაციულ ერთეულში გამგებლის წარმომადგენლის ვაკანტურ თანამდებობაზე.

გამგეობაში ელექტრონული საქმისწარმოების დანერგვამ მნიშვნელოვნად გააუმჯობესა კომუნიკაცია მოსახლეობასთან და გაამარტივა საქმისწარმოება. აღნიშნულის შედეგია ის, რომ გამგეობაში მიმდინარე წელს გასულ წელთან შედარებით შემოსულია 7518-ით მეტი(სულ12553 ერთეული) კორესპონდენცია და შესაბამისად, გასულ წელთან შედარებით 7449-ით მეტ (სულ 10927 ერთეული) ადრესატს გაეგზავნა პასუხი. გამგეობის სტრუქტურული ერთეულების მიერ მომზადდა და გამოიცა 1800 ბრძანება, რაც 1300-ით აღემატება გასული წლის შესაბამის პერიოდს. მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა საჯარო ინფორმაციის გაცემაზე დროულ რეაგირებას. საანგარიშო პერიოდში გაცემულია 54 საჯარო ინფორმაცია.

მუნიციპალიტეტის გამგეობის იურიდიული უზრუნველყოფის სამსახურის მიერ მუდმივად ხორციელდება მუნიციპალიტეტის ყველა სამსახურის მიერ მომზადებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების, ხელშეკრულებების, შემოსული კორესპონდენციის ვიზირება და პრობლემატურ საკითხებთან დაკავშირებით, სამართლებრივი დასკვნების მომზადება.

მუნიციპალიტეტის გამგეობის საქმიანობაში მნიშვნელოვან ფუნქციას ასრულებს ასევე შიდა აუდიტის სამსახური, როგორც მუნიციპალიტეტის გამგეობის სტრუქტურული ერთეული უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის ორგანოებისა და მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული კერძო სამართლის იურიდიული პირების საქმიანობის სრულყოფას, ფინანსების მართვის გაუმჯობესებას, სახსრების, სხვა მატერიალური ფასეულობების ხარჯვისა და გამოყენების კანონიერებას, მიზნობრიობის დაცვასა და ეფექტიანობის გაზრდას.

რაც შეეხება სამომავლო გეგმებს, მომავალი წლისთვის აქტიურად ვითანამშრომლებთ მრავალბინიან საცხოვრებელ ბინებში შექმნილ ბინისმესაკუთრეთა ამხანაგობებთან. მუნიციპალიტეტში სულ 38 ამხანაგობაა ამ ეტაპზე რეგისტრირებული. ადგილებზე გასვლით მოხდება მობინადრეთა ინფორმირება ბინისმესაკუთრეთა ამხანაგობების ჩამოყალიბების უპირატესობის, ამხანაგობის მიერ საერთო ქონებით სარგებლობის, მისი გამოყენებისა და განკარგვის, თანადაფინანსების პრინციპით საცხოვრებელ სახლებში არსებული პრობლემების მოგვარებასთან დაკავშირებულ საკითხებზე. ვფიქრობთ, მომავალში უნდა გამოვიყენოთ ამ მიმართებით სხვა მუნიციპალიტეტების გამოცდილება და ბინისმესაკუთრეები აქტიურად ჩავრთოთ თანადაფინანსების პრინციპით მათივე პრობლემების მოგვარებაში, ხოლო ადგილობრივ ბიუჯეტში გათვალისწინებული იქნას დაფინანსება ისეთი მიმართულებებით, როგორიცაა -საცხოვრებელი სახლების ეზოების, მისასვლელი გზების, სადარბაზოების შეკეთება და კეთილმოწყობა. მომავალი წლისთვის დაგეგმილია ასევე

1. ქ. ხაშურში, წმინდა ნინოს ქუჩის (ყოფილი სპორტის ქუჩა) მოასფალტება;
2. ხაშურში, შუშის ქარხნის დასახლებაში, №8 საბავშვო ბაღისთვის ახალი შენობა-ნაგებობის მშენებლობა;
3. ხაშურში, იმერეთის ქუჩაზე, სპორტკომპლექსის მშენებლობის გაგრძელება;
4. ხაშურში ბარბაქაძის, პუშკინის და კლდიაშვილის ქუჩების ნაწილობრივი მოასფალტება;
5. ქ. ხაშურში, იმერეთის ქუჩაზე მშენებარე სპორტკომპლექსის მიმდებარე ტერიტორიაზე სპორტული ინფრასტრუქტურის მოწესრიგება და ტერიტორიის კეთილმოწყობა;
6. ქ. ხაშურში, 9 აპრილის ქუჩის მოასფალტება;
7. სოფელ ქვიშხეთში დიმიტრი ყიფიანის სახლმუზეუმის რეკონსტრუქცია-რეაბილიტაცია.

მუნიციპალიტეტის გამგეობა მჭიდროდ თანამშრომლობს სხვადასხვა უწყებებთან, რისი მკაფიო მაგალითიც არის ურთიერთობა საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან. მნიშვნელოვანი ძვრებია მუნიციპალიტეტის აგრარულ სფეროში. მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ხაშურის საინფორმაციო საკონსულტაციო სამსახური, რომელთა ნაყოფიერი შრომის შედეგად მუნიციპალიტეტში განხორციელდა სოფლის მეურნეობის დარგების აღორძინებისათვის გათვალისწინებული სამთავრობო და არასამთავრობო პროექტები.

სახელდობრ,

შეღავათიანი აგროკრედიტების პროექტის ფარგლებში 2015 წლის ოქტომბრიდან 2016 წლის 1 ოქტომბრამდე გაცემულია ოცდაათი სესხი 1 313 440 ლარის და ცხრა სესხი 576 900 დოლარის ოდენობით.

სამთავრობო პროგრამა „დანერგე მომავალის“ ფარგლებში, ხაშურის მუნიციპალიტეტში, საანგარიშო პერიოდში დამტკიცებულია 13 პროექტი. სოფლის მეურნეობის სამინისტროს პროექტების მართვის სააგენტოს დაფინანსების ოდენობამ შეადგინა 112 000 ლარზე მეტი.

აღნიშნული პროექტის ფარგლებში მუნიციპალიტეტში 24 წლიანი პაუზის შემდგომ გაშენდა 42 ჰექტარი ვაშლის, ქლიავის, ჟოლოს, ბლის, კაკლის ბაღები.

სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამამუშავებელ და შემნახველ საწარმოთა თანადაფინანსების პროექტით, ხაშურის მუნიციპალიტეტში, ს. გომში, აშენდა 300 ტონის ტევადობის ხილის და ბოსტნეულის შესანახი მაცივარი, მარცვლეულის და კარტოფილის საცავი 1200 ტონის ტევადობის საწყობი, სოფ. ქინძათში პირუტყვის სასაკლაო, დამთავრების პროცესშია ქ. ხაშურში პირუტყვის სასაკლაო და ხორცის გადამამუშავებელი საწარმო, ასევე მიმდინარე თვიდან პროდუქციის გამოშვებას დაიწყებს ქ. ხაშურში კომბინირებული საკვების გადამამუშავებელი ქარხანა და სხვა.

ამ საწარმოებში შეიქმნა ათობით სამუშაო ადგილი.

სასოფლო სამეურნეო პროდუქციის ახალი გადამამუშავებელი საწარმოების და შემნახველი საწარმოების თანადაფინანსების პროექტი დიდად შეუწყობს ხელს სოფლის მოსახლეობის შემოსავლების ზრდას.

მუნიციპალიტეტში უკვე მოქმედებს 38 სტატუსის მქონე სასოფლო სამეურნეო კოოპერატივი, აქედან საანგარიშო პერიოდში შექმნილია 19 კოოპერატივზე მეტი. კოოპერატივების შექმნის პროცესი გრძელდება.

„სასოფლო სამეურნეო კოოპერატივების მცირე გაბარიტული აგროტექნიკით აღჭურვის პროგრამის“ ფარგლებში მუნიციპალიტეტში 16 სასოფლო სამეურნეო კოოპერატივმა მიიღო 16 აგროკომპლექტი, 16 ხელის სათესი თითოეული 900 ლარად. თანადაფინანსებამ 22 % შეადგინა.

მეფუტკრეობის სასოფლო სამეურნეო კოოპერატივების მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, ორმა სასოფლო სამეურნეო კოოპერატივმა მიიღო 120 სკა ღირებულების 70%-ის სახელმწიფო თანადაფინანსებით.

მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებას შეუდგა სოფლის მეურნეობის სამეცნიერო კვლევითი ცენტრის ჯიშთა გამოცდის ნაკვეთი, რომელსაც გადაეცა 12 ჰექტარი სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწა, მიმდინარე პერიოდში უკვე აქ გამოიცადა 14 ჯიშის ქართული და შემოტანილი მაღალმოსავლიანი ხორბლის ჯიშები. ასევე ცდაზეა დაყენებული ვაზის და ხილის სხვადასხვა ჯიშის ნარგაობები და სხვა. ჯიშთა გამოცდის ნაკვეთის აღდგენა დიდად შეუწყობს ხელს ჩვენს ფერმერებს სამეურნეო საქმიანობის თანამედროვე ტექნოლოგიებით წარმართვასა და მაღალი მოსავლის მიღებაში.

სურსათის ეროვნული სააგენტოს ვეტ. სპეციალისტების და მცენარეთა დაცვის სპეციალისტების აქტივობის შედეგად, მინიმუმამდე იქნა დაყვანილი ცხოველთა და მცენარეთა განსაკუთრებით საშიში დაავადების შემთხვევები.

მუნიციპალიტეტის სოფლების გაზიფიცირების, გამრიცხველიანების და ქალაქ ხაშურში წყალმომარაგების გაუმჯობესების მიზნით, აქტიურად მიმდინარეობს თანამშრომლობა „სოკარ ჯორჯია გაზის“, „ენერგოპრო ჯორჯიას“, „გაერთიანებული წყალმომარაგების“ კომპანიებთან და მათ ადგილობრივ ფილიალებთან. პრაქტიკულად, დასრულდა ქალაქ ხაშურში, დაბა სურამსა და მუნიციპალიტეტის სოფლებში გამრიცხველიანების სამუშაოები. იგეგმება სოფელ აგარების, დიდი და პატარა სატივის, ახალსოფლის, ხიდისყურის გაზიფიცირება. ასევე დაგეგმილია ქვიშხეთის ადმინისტრაციულ ერთეულში შემავალი სოფლების გაზიფიცირების საპროექტო სამუშაოები. გაზიფიცირება დასრულდა სოფელ ბიჯნისსა და ზეკოტაში. მიმდინარეობს სოფელ გომის სრული გაზიფიცირების და სოფელ ხცისში გაზსადენი ქსელის რეაბილიტაციის სამუშაოები.

საქართველოს მთავრობის დახმარებით და ადგილობრივი ბიუჯეტის რესურსების გონივრული გამოყენებით, მუნიციპალიტეტის გამგეობა მნიშვნელოვან ღონისძიებებს განახორციელებს მოსახლეობის სოციალური მდგომარეობისა და არსებული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების მიზნით. აქვე ხაზგასმით მინდა აღვნიშნო, რომ ჩვენი საქმიანობის განმავლობაში მუდმივად ვგრძნობდით უდიდეს მხარდაჭერას როგორც საქართველოს მთავრობის, ისე რეგიონის ხელმძღვანელობისა და პირადად სახელმწიფო რწმუნებულ-გუბერნატორის მხრიდან, რისთვისაც უდიდეს მადლობას ვუხდი მათ.

მადლობას ვუხდი თითოეულ აქ დამსწრეთაგანს მობრძანებისა და ყურადღებისთვის.

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე“. დირექტორი გიორგი გოგალაძე,
მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.
E-mail Khashurismoambe2015@.gmail.com მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, სახაზინო კოდი: 749547499.
D-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში. რედაქტორი რობერტ სუხიაშვილი.

(დასაწყისი იხ. „ხაშურის მოამბე“, №40)

სადღესასწაულო ცენტრი

მარიამისა და ქეთევანის მეგობრობა იმდენივე წელს ითვლის, საიდანაც მათი ცნობიერება იწყება-სკოლის მერხიდან ახლა უკვე ჩვენი ქალაქის "ბიზნეს ლედები" არიან, და თუ ეს ჯერ მხოლოდ გადაჭარბებული ნათქვამია, ეს მათი არც თუ შორი მომავალია, რომელიც მათი მონდომებისა და ენთუზიაზმის კომპენსაცია იქნება. სტუდენტობის შემდეგ საკუთარ ქალაქში დაბრუნებულებს, არაერთი იდეა ჰქონდათ, თუ როგორ ექციათ სასიამოვნო სასარგებლოდ, რომ ეს მათთვისაც და მშობლიური ხაშურისთვისაც ერთგვარი სიახლე, სიცოცხლის ახალი ტალღა ყოფილიყო. სამი წლის წინ, ბავშვთა სადღესასწაულო ცენტრი გახსნეს, მონდომება არ დააკლეს, საკუთარი ხელებით აკეთეს ქალის და კაცის საქმე, გაუმართლათ. დღეს უკვე სახელმწიფო პროექტის "აწარმოე საქართველოში" გამარჯვებულები არიან, რომელმაც შესაძლებლობა მისცათ ახალი სიცოცხლე მიეცათ ცენტრისთვის, გაეფართოებინათ მომსახურებაც, სერვისებიც და ვიზუალური მხარეც ყველასთვის სასიამოვნო ყოფილიყო. მიუხედავად იმისა, რომ ცენტრი ბავშვებისა და მოზრდილებისთვისაა, ყველა ასაკის მომხმარებლი გამონახავს გასართობს, კომფორტული და გართობისთვის მორგებული გარემო, ქეთევანისა და მარიამის წარმატების ერთგვარი გარანტიაა. არადა, ისინი ჯერ მხოლოდ 25 წლისანები არიან და უკვე იძლევიან მაგალითს, თუ როგორ შეიძლება კარგი იდეის კარგად განხორციელება, შეფუთვა და რომ ამაში შენი თანამონაწილე სახელმწიფოც კი გახდეს.

ქეთევან გელაშვილი:

—მე და მარიამს გაგვიჩნდა იდეა, რაიმე მცირე ბიზნესი გაგვეკეთებინა, დიდხანს ვფიქრობდით ამაზე, რამდენიმე ვარიანტი განვიხილეთ, მათ შორის ბავშვთა სადღესასწაულო ცენტრიც იყო, რადგან ხაშურში მხოლოდ ერთი ცენტრი იყო და მოთხოვნილება კი უფრო დიდი იყო, გადავწყვიტეთ ამ საქმისთვის მოგვეკიდა ხელი. თან ხაშურში ახალი დაბრუნებულებიც ვიყავით და პირადი სარგებლის გარდა, გვინდოდა ჩვენი ქალაქის გამოსაცოცხლებლადაც გაგვეკეთებინა რამე. შევისწავლეთ ბაზარი და რადგან ბავშვობიდან ერთად მოვდივართ, სურვილების შეთანხმება არ გაგვჭირვებია.

-რატომ სადღესასწაულო ცენტრი?

მარიამ ბუღაძე:

—როგორც აღვნიშნეთ, ხაშურში მანამდეც იყო ბავშვთა გასართობი ცენტრი, მაგრამ გვინდოდა, მომსახურების სერვისი შეგვეცვალა, ახალი შეგვეთავაზებინა. გადავწყვიტეთ, მრავალფეროვანი მომსახურება შეგვეთავაზებინა მომხმარებელთა იმ კატეგორიისთვის, რომელთან მუშაობა და ურთიერთობა ძალიან სასიამოვნოა. ამით, ერთგვარად, გვინდოდა იმის კულტურა დაგვემკვიდრებინა, რომ სახლის გარდა, დაბადების დღის ცენტრშიც შეიძლება მისაღებ ფასად, ბავშვისთვის საინტერესო გარემოში გადაიხადო დაბადების დღე, ან, უბრალოდ, ზეიმი.

-როგორ დაიწყეთ იდეის განხორციელება?

ქეთევან გელაშვილი:

—თავდაპირველად ალტერნატიული ფართის მოძიება დავიწყეთ, უნდა ყოფილიყო ყველასთვის მისაღებ ადგილას, აღმოჩნდა, რომ ფართის ქირა დიდ თანხებთან იყო დაკავშირებული. ვიცოდი, რომ სკოლას შეეძლო ფართის გაქირავება, მოვედით ამ სკოლაში და ვითხოვეთ დირექტორთან შეხვედრა, აღმოჩნდა, რომ მეუფე იყო, რომელიც მანამდე ჩემი სულიერი მოძღვარი იყო, მოეწონა იდეა, გავაკეთეთ პრეზენტაცია. რომ არა მეუფის მხარდაჭერა და თანადგომა, შეიძლება ეს მხოლოდ იდეის დონეზე დარჩენილიყო. ამის შემდეგ, დავხვეწეთ იდეა, მოვიძიეთ საჭირო თანხა, ყველა დეტალი საკუთარი ხელით გავაკეთეთ. იანვარში გაჩნდა იდეა, ივლისში თითქმის ყველაფერი ნაყიდი გვქონდა და 21 სექტემბერს უკვე გავიხსენით.

-სერვისებზე რას იტყვით?

მარიამ ბუღაძე:

—ავიყვანეთ მსახიობები ხაშურის თეატრიდან, ჩამოვწერეთ პროგრამები, რომლებიც ეტაპობრივად დაიხვეწა, შევიძინეთ ინვენტარი. რაც მთავარია, მუშაობის პროცესში, მოთხოვნებიდან გამომდინარე, იცვლებოდა და იხვეწებოდა სერვისი, რაც მომხმარებელთა მოწონებას იმსახურებდა. ყოველთვის ვცდილობთ, სიახლეები შევიტანოთ. მომხმარებელი, ძირითადად, ერთი და იგივე ხალხია, მათ სიახლე უნდა შესთავაზო, რადგან მომაბეზრებელი არ იყოს. შეგვიძლია, თამამად ვთქვათ, რომ იდეამ გაამართლა და სტიმული მოგვცა სამომავლო განვითარებისათვის.

-თქვენ ასევე პროექტის "აწარმოე საქართველოში" გამარჯვებული ხართ. ორი მცირე გრანტი მიიღეთ. რას ეხებოდა იდეა?

მარიამ ბუღაძე:

—როდესაც გავიგეთ ამ პროგრამის შესახებ, ცოტა ინერტული დამოკიდებულება გაგვიჩნდა, მაგრამ მაინც ვცადეთ და დავწერეთ ორი პროექტი. ერთი გასართობი ცენტრის გაფართოებას, ხოლო მეორე ჩამოსასხმელი ნაყინის აპარატს ეხებოდა. ჩვენდა გასაოცრად, ორივე პროექტი დაგვიფინანსეს. როგორც ვიცი, შიდა ქართლში სულ 38 პროექტი დააფიქნანსეს. მეორეტურში 1/16 თან იყო თანაფარდობა. ძალიან გაგვიმართლა, რომ მოგვეცა შანსი, ჩვენი იდეების განსახორციელებლად. ორივე პროექტისთვის ცალ-ცალკე 5000-5000 ლარი მივიღეთ. ამ წარმატებამ სტიმული მოგვცა, სამომავლოდ ახალი ბიზნეს იდეის განხორციელებაზეც ვიფიქროთ. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ჩვენ დავინახეთ სახელმწიფოსგან თანადგომის სურვილი, მიეხმაროს მცირე ბიზნესს განვითარებაში.

-გაფართოების შემდეგ, რა შეიცვალა, ძირითადად რა ასაკის მომხმარებლები გყავთ და რას სთავაზობთ მათ?

ქეთევან გელაშვილი:

—თავდაპირველად, ყველაფერი 1 წლიდან 12 წლამდე ბავშვებზე გვქონდა გათვლილი. თავიდანვე დიდი მოთხოვნა და აქტიურობა იყო, დეკემბერში დაიწყო ზეიმები, რკინიგზის დეპარტამენტისგან დიდი შეკვეთა მივიღეთ, 1500 ბავშვს მოვემსახურეთ. ზეიმები გაგრძელდა გაზაფხულზეც, მოდიოდნენ გასართობად, დაბადების დღის დასაგეგმად. გარდა ამისა, დავამატეთ შაბათ-კვირის პროგრამა, რომელმაც, სამწუხაროდ, არ გაამართლა. "აწარმოე საქართველოში" პროექტმა მოგვცა შესაძლებლობა გაგვეფართოებინა მომხმარებელთა ასაკობრივი კატეგორია, 12-წლიდან ზემოთ ახალგაზრდებისთვის. ამ ორი წლის განმავლობაში ჩემი და ჩემი მეგობრების დაბადების დღეები დავგეგმეთ, წვეულებები, საიდანაც წამოვიდა მოთხოვნა და დღეს გვაქვს უკვე გასართობი ცენტრი დიდებისათვის, სადაც გვყავს დიჯეი, კარაოკე, გვაქვს კლუბური ეფექტები, გემრიელი მენიუ და, რაც მთავარია, ყველასთვის მისაღები ფასები. ეს ნამდვილად ინოვაციაა ჩვენი ქალაქისთვს.

-დღეისათვის თქვენი მომსახურება როგორ გამოიყურება?

მარიამ ბუღაძე:

—დაბადების დღე ერთ ბავშვზე 10 ლარიდან 16 ლარამდეა, მოზარდებისთვის 10 ლარიდან 20 ლარამდე. გარდა ამისა, არის დამატებითი სერვისი, მსახიობები, გმირები, შესაბამისი პროგრამა. ერთი გმირის ფასი 30 ლარი, გვაქვს შედავათებიც, მაგალითად, ორი გმირი უკვე 50 ლარი. შედის კარაოკე სიმღერები, ცეკვები, სახის მოხატვა უფასოდ, ვარსკვლავის გახსნა, თამაშები, მენიუ. პროგრამა იმდენადაა დატვირთული, ჩართული არიან ბავშვებიც და მშობლებიც, მოდუნების და მოწყენის საშუალება თითქმის არაა. გვაქვს ატრაქციონები, ფერადი ბურთები, სათამაშოები. დავამატეთ ახალი სერვისი, გმირები გამოძახებით, ამჟამად 10 გმირი გვყავს, მათი გამოძახების ღირებულება 30 ლარია. ამ ყველაფრის უზრუნველყოფა, "აწარმოე საქართველოში" პროექტის ფარგლებში განვახორციელეთ. კარგ იდეას დამატებული ხელშეწყობა, უკვე საქმის ნახევარია. მიხარია, რომ ჩვენ ეს შევძელით!

თ. ჯავახიშვილი